

6981

საქართველოს
განათლებლის
მინისტრის
გამოცემის
სამსახური

ნაგადუღი



საუბრე-მეცნიერო ჟურნალი
მეცნიერულ-პედაგოგიკის
მეცნიერებისათვის

თბილისი

№ 12.

1916 წ.

გაზეთი

წელიწადი მე-XX.

№ 12

ივნისი, 1916 წ.



ისვენებს!



შ ი ნ ა ა რ ს ი

- I— ისვენებს, —სურათი 1
- II— „ნაკადულის“ მკითხველები. —ზევიდან: 1, მარგარიტა ბაგრა-
ტიონ-დავითაშვილი—გომი. 2, თამარ ქვლივიძე—თბილისი.
3 და 4, ვარო და სოფიო ჩხირაძეები—თბილისი. 5, ზის ვე-
ლოსიპედზე ივანე კიკნაძე. 6, ქულაჯაშვი ზურაბ ანდრონი-
კაშვილი—თბილისი. 7, მარგა გოგოლაშვილი—ქარდენახი . . . 3
- III—ციცინათელა, —ლექსი დავ. ელიოზიშვილისა 4
- IV—არსენა და ბაქია, —(შემდეგი) ლეო ქიაჩელისა 5
- V—სამი გამოცდა, —(უნგრეთელი ზღაპარი) თარგ. ივ. როსტო-
მაშვილისა. 13
- VI—ლოკოკინა და ცხრაფეხა, —ილ. ნაკაშიძისა. 23

„მადონა“



მკითხველები



ციცინათელა

ციცინათელა შქვიან მე,
 ჰატარა ვარ, ჰატარა;
 უველა სტკებება ჩემითა,—
 ვანო, ვასო, თამარა.

მოუსვენრად დაუფრინავ,
 ბნელს ვანათებ ღამითა,
 და გახლავართ, იცოდეთ,
 ბედნიერი ამითა.

მხოლოდ ერთს გთხოვთ, ბავშვებო:
 ნუ დაძიქერთ ჰატარას...
 მე რომ მოვკვდე თქვენს ხელში,—
 რას შეიძენთ, აბა, რას?!..

ციცინათელა შქვიან მე,
 ჰატარა ვარ, ჰატარა;

შორით დასტებით, ამას გთხოვთ,—
 ვანო, ვასო, თამარა!...

დ. ელიოზიშვილი



არსენა და ბაჭია

(შემდეგი *)



ოდესაც დედამ შვილს წითელი ბანტი დაუნახა
სა კისერზე, იფიქრა, ეს სწორედ ბორკილი
არისო, და მისი გაწევევით მოიწადინა. მაგა-
რამ მაგარი აღმოჩნდა აბრეშუმის ბანტი.
გბილვები წაისმარა; მაგრამ ბაჭიას ასლა კი-
სერი ეტკინა... ამ ფაცა-ფუცში სმაურობაც
აბუდა: სმაურობამ კი არსენას უურადღება მოსტაცა წიგნს.
მალლიდან გადმოიხედა არსენამ,—რა ამბავი არისო? დაინახა
დედა-შვილი. ზირველად ვერ მისვდა, თუ რა იყო. ბაჭია კი
იცნო. მაგრამ დედა-კურდღელი სულ სხვა ვინმედ მოეჩვენა;
შეკრობობისაგან კინაღამ ძირს ჩაპოყარდა.

—ღმერთო!.. ეს რა არის ბაჭიას თავისო!—სთქვა და აჩქარე-
ბით სიდან ჩაბოყმუდა... დედა-კურდღელმაც იგრძნო არსენას

*) იხ. „ნაკადული“, № 11.

იქ ეოფნა. სწრაფად წაატანა შვილს კბილები და ტუის სიღრმისკენ დაუხიზა გაქანება. მაგრამ ბაჭიას ძალის დატანება არ დასჭირვებია: თავის ნებით მიჰყვა. მარდად აედევნა ტუის შუა გულისკენ ლტოლვილ დედას!.. არსენასთან დაბრუნება ახლა სულაც არ უნდოდა.

— თუ ჩემი ბაჭიას მტერი ხარ, ვიდაც ხარ, მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა მტრობა—მოღალატეობა!...—დაიუვირა მიწაზე დაშვებულმა არსენამ და გამოეკიდა დედა-შვილს. მან მსოფლოდ ახლა დაინახა დიდი კურდღელი და მას ადევნებული ბაჭია.

— ბიჭოს?—გაკვირვებით შესდგა წამით არსენა.—ეს ვინ მოსულა, შენი წირიმე!... ბაჭიას დედა!..

არსენას ეკონა, რომ კურდღელი მოუცდიდა, მაგრამ ბაჭიას დედას ეს აზრადაც არ მოსვლია. ძალეც მიიმალა შვილიანად. ელდა ეცა არსენას.

— ბაჭია, ბაჭია.. სად მისვალ?...—იკივლა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გაექანა წამოსაწევნად. გაჯავრებული იყო ახლა ბაჭიას დედაზე არსენა და, ვინ იცის, რას არ უზამდა, ხელში რო ჰყოლოდა. თავის დაუზოგავად კვალ-დაკვალ მისდევდა იგი ხეებსა და ბუჩქ-ეკლნარს შორის დედა-შვილს. ეურადღებას არ აქცევდა, თუ როგორ ეკაწრებოდა ჰირისაზე, ან ტანსაცმელი როგორ ესვოდა!.. იმდენი სდია, რომ ტუე განვლეს. ტუის ჰირად ორმო იყო ერთი. იგი თხრილის მსგავსად უვლიდა გარს კარგა მანძილზე ტუეს. აქ მოჰკრა დედა-კურდღელს თვალი არსენამ.

— ვერ წამისვალ!—შესძახა. მაგრამ კურდღელმა ისკუშა და თხრილზე გადასტა. ბაჭიამაც მისდია მის მაგალითს.

— ბაჭია!.. უსინიდისო... სად მისვალ?...—იუვირა ამის დახსვასზე არსენამ და სირბილს უმატა. ბაჭიას არ გაუძარტულა და ნახტომი. ორმოს მეორე ნახირს ვერ მიაწია და შიგ კი

ჩავარდა. მეგობრის ასეთმა მარცხმა გახსარა ახლა არსენა. მიიჭრა თხრილთან და შიგ გადამევა. სანამ დაცემისაგან გალახული ბაჭია მოასწრებდა თხრილიდან ამოსვლას, არსენა დაეწია მას და შეიპერო.

— რა გითხრა ახლა?... რა გითხრა, ბაჭია?... მიღალატე?... არ გრცხვენია?— ქლოძინით ეუბნებოდა არსენა ბაჭიას და სან უწერებოდა, უსაუვედურებდა, სან-კი ეუფრებოდა.— ფეხი სომ არ გიღრძვია?... სომ არ გტკენია რამე?... ასე რო კანკალებ და სულს ძლივს ითქვამ, სომ არ მოგხვედრია რა მე?... დედა შენთან გირჩევნია ცხოვრება?... მერე რატომ არ უთხარი მოვიდეს შენთან ფულუროში და შენთან დარჩეს!.. როგორც შენ, ისე დედაშენსაც ეველადფერი მზამზარეული ექნება!.. თორემ ასე ღალატით შენი მოტაცება როგორ იქნება? განა მე შენი მეგობარი არა ვარ?... ა?... აი, ბანტი კინაღამ გაგწვევტია!.. რას ეტეოდი ნათელას, რომ დაგკარგოდა?... მოდი... შემირიგდი!— დავბრუნდეთ ჩვენს ფულუროში!... დედა შენი თუ მოვიდა, შენ ნუ კი წაჰყვები ტეეში, ის მიიპატიე ფულუროში!.. უთხარი, რომ მე მისთვის კეთილი მსურს!.. გესმის?!.. ასე!.. შე გლახა, შენა!...— და ასეთი სიტყვებით სავებარეელი ბაჭია ფულუროსკენ მიჰყავდა არსენას. რა-კი ერთსეულ დაიბრუნა მეგობარი, ისეთ გუნებაზე დადგა, რომ დედა-კურდღელზე სულაც არ იყო მწერალი. მხოლოდ იმას კი ფიქრობდა, ვაი თუ კვლავ მოვიდეს, გაიტეუოს ბაჭია, და მე კი ეს ვერ შევნიშნო...

*
*

ჩამავალმა მუემ წითელი არშია გადააფარა არსენას ტეეს. მაღალ მუხას ეველა სევბზე უფრო მეტი ნაწილი სგდა მზის არშიისა. მანაც შედიდურად შეაქანა წვერი, შეა-

შრილა ტოტები და საღამოს საღამო მიუძღვნა დიდებულ დღის მსათობს.

არსენასაც აიუვანა სელში ბაჭია და მასთან ერთად გამოემშვიდობა მსეს. ბაჭია გაზდილიყო ამხანად, განსრულებულიყო და უფრო კურდღელსა ჰგავდა, ვინემ ბაჭიას, თუძცა ჯერ კიდევ ჰატარა იუო. სათელას მისთვის ბანტიც გამოცვალა, რადგანაც ძველი ველზე უჭერდა და აწუსებდა. ახალზე შემდეგი წარწერაც კი გაეკეთებინა არსენას დას: „არსენას მეგობარ ბაჭიას—სათელასგან“. ჩამავალი მზის მოწითალო სხივებს წითელი ბანტის წითელი იერი კისრიდან ბაჭიას მთელ ტანზე გაევრცელებინა და ისე გაელამაზებინა იგი მთელად, რომ არსენამ ვერ მოითმინა და ახლავე შეუდგა მეგობრის გადახატვას ფერადებით. თუძცა ათასნაირად ჰგავდა დახატული ბაჭია არსენას და მისი სურათები თითქმის ეგულა სეზე კი მიეკრა ტუეში, მაგრამ ამ საღამოს განსაკუთრებით მოეწადინა სატვა. დასვა მეგობარი ისეთ ადგილას,



სადაც უკეთესად აწევდნენ მზის სხივები, და შეუდგა საქმეს. მაგრამ რამდენიმე სახის გასმა და მოასწორო, რომ მზე ჩაესვენა, და მისი სხივებიც უცბად გაქქნენ. დაღონდა არსენა. შემდეგისათვის გადადგა სატვა, და ახლა ბაჭიას ფულუროში ღამით მოთავსების თავდარიცს შეუდგა. როგორც ეოველთვის, გამოწმინდა ფულურო, გაასწორა დასაწოლი თივა და მიათვალიერ-მოათვალიერა მიგნით კარგად, რომ, თუ ვინიცობაა დღის განმავლობაში შესულიყო რომელიმე ქვემძრომი, შიგ არ დარჩენილიყო და ბაჭიასთვის რაიმე ვნება არ მიე-

ნიცობაა დღის განმავლობაში შესულიყო რომელიმე ქვემძრომი, შიგ არ დარჩენილიყო და ბაჭიასთვის რაიმე ვნება არ მიე-

ვენებისა ძილის დროს. შემდეგ ცოტა ხნით მიუშვა ბაჭია მოლზე, წააკუნებინა ბაღასი და გაანაგარდა.

—ახლა კი ღამე ნებისა, ჩემო ბაჭია, დილაძდის!!—უთხრა და ფულუროში შეიკვანა.—თუ დედაშენი კესტუმროს, მომიკითხე!.. სთხოვე სძირად იაროს, ან სულ ჩვენთან დასახლდეს აქ!—ამ სიტყვებით აკოცა და შემდეგ გარედ გამოვიდა. ჩაჰკეტა მაგრად კარი, ზედ ჩვეულებრივად მიაღვა ქვები; გამოემშვიდობა საუკარელ მუხასაც, დანარჩენ სვებსაც და სახლისკენ გასწია...

მეორე დღე კვირა იყო. არსენას განზრახული ჰქონდა ბაჭია დილიდანვე სახლში წაეყვანა და ნაშუადღევს სხვებთან ერთად თავისი მეგობრით საჯარო ცეკვა-თამაშობაზე წასულიყო. ეს ცეკვა-თამაშობა უოველ კვირას იმართებოდა ერთ-ერთ მინდორზე სოფელში, და მრავალი ხალხი ესწრებოდა სოლმე. არსენას აზრით საჭირო იყო, რომ ბაჭიას საჯაროდ ეჩვენებინა თავი სოფლისთვის, რადგანაც სოფელს უყვარდა ბაჭია და მეზობლები სძირად მოიკითხავდნენ მას ფულუროში. შესვდებოდა თუ არა სადმე არსენას ნაცნობი, ზირველად ბაჭიას შესახებ ჰკითხავდა, როგორ არის შენი მეგობარი ბაჭიაო, და საღამოს დაბაბრებდა მასთან...

როგორც კი აღვა არსენა მეორე დღეს, მაშინვე ტყისკენ გასწია. გზა-და-გზა მიესალმა სვებს, გამარჯობა მიუძღვნა მუხას და ფულუროს კარს მიაღვა. მისვლისათანავე ტყეში—ნაკრავით უკან დაიხია. ხელები მადლა ასწია და დაივიჩო.

—ეს რა ამბავია!?

ნახა, რომ კარიდან ქვები ვიღაცას მოეკორებინა და თითონ კარიც კარგა ფართოდ გაეღო. ზარდაცემული შევარდა არსენა ფულუროში. ბაჭია იქ აღარ იყო. სიტყვის ამოუღებ-

ლად ისევ გარედ გამოვარდა. მიმოიხედა. იგრძნო, რომ რაღაც სამინელებს ატყეუბოდა თავს. ფერი დაეკარგა.

— ბაჭია, ბაჭია!!— დაიძახა. მაგრამ ჩქამიც არსაიდან. კვლავ ფუღუროში შებრუნდა. დათვალიერა იქაურობა. დაწუობილი თივა გაბნეული ნახა. იტაკზე ბლომად მტვერი აურილი... საშინელება ეჭვა გაუბრინა თავში. მუსხები მოიყარა და ფუღუროს კიდეებს მიაშტერდა. ერთ ადგილას ბაჭიას თეთრი ბუმბულის ნარჩენი დაინახა. მოკრიბა. სინათლეზე დასედა. სისხლით უნდა ეოფილიყო იგი შესვრილი, რადგანაც აქა-იქ წითელი იყო.

— ვაბიკე!— გულით წამოსცდა არსენას. შიტრიალ-მოტრიალდა ფუღუროში. ახლა ზედ კართან მუხაზე სისხლის ნიშნები შენიშნა... გიჟივით გამოვარდა არსენა ფუღუროდან და შემინებულმა რაც ძალა და ღონე ჰქონდა ივეირა:

— ვაი, ვაი!... მიშველეთ!!— მაგრამ ზანუსი არსაიდან იყო. მამინ უანგარიშოდ გაიჭრა არსენა ტყეში აქეთ მივარდა, იქით; თან იძახოდა:

— ბაჭია!.. ჩემო ბაჭია!! რა მოგივიდა?!

— არსენა, რა თქმა უნდა, არ ურიგდებოდა იმ ეჭვს, რომ ბაჭია რომელიმე მტრის მსხვერპლი გახდა. ბაჭიას ღეფა სთვლიდა და დამნაშავედ.

— მოვიდა ის წვეული, შეიჭრა ფუღუროში ჩემი ბაჭიას მოსატაცებლად, მაგრამ რა კი ბაჭია დარიცებული მუავდა და არ დანებდებოდა, ძალა იმძარბა... ალბად სცემა, სისხლი ადიონა, და შემდეგ გაათრია კიდეც... წაიუვანა!— ასე ფიქრობდა არსენა; მაგრამ ამ ფიქრთან ერთად სხვა ეჭვიც უღრღნიდა გულს. ეს ეჭვი კი საშიში რამ იყო და მას თავის თავსაც ვერ უშეხლდა!...

— ბაჭია!.. ბაჭია!— უსმობდა არსენა მეგობარს და ეოველ ბუჩქთან, ეოველ სოროსთან ჩერდებოდა. ტყეში კი ამ დი-

ლას ისეთი სიჩუქე იდგა, რომ არსენას სმა ერუდ გაისმოდა, თითქო გარემოს მისი სმის გაცონება სწყინდა, თითქო ტყე არსენას წინააღმდეგი იყო.. შიშმა უნებლიედ შეუკრთო არსენას არსება!... მარტოობა იგრძნო!.. ცოტა ხანი კიდევ, და საიდანღაც უცნაური სმა მოესმა არსენას. ზარივით ჩაწვდა იგი ეურში. შეაცანცანა.

— ეს რა უნდა იყოს?—წაიჩურჩულა არსენამ თავისთვის. მიაუერა. მძიმე სიჩუქე აშინებდა. გული აუეუზდა არსენას. ფეხი აიკრიფა. ნელი ნაბიჯით წამოვიდა უკან... თავის დღეში მისთვის ასე საშიში არ ეოფილა ტყეში მარტოდ ეოფნა!.. თავის დღეში არ უგრძნია მას ასეთი მარტოობა ტყეში.. ეჩვენებოდა, რომ ტყე ამ დილას სავსე იყო მისი მტრებით..

— იქნება მე მაბრალეებს ბაჭიას უბედურებას?—გაუელვდა არსენას და ახლა გამაღებით განაგრძო გზა. ტყიდან რო გამოვიდა, მაწუსებელი შიში მოშორდა, მაგრამ დაღონდა კი უფრო. სირბილით შეიჭრა თავის ეზოში. სასლთან რო მივიდა, სმაძალა ტირილი და შემამრწუნებელი მასილი მოერთო. გამოცვივდნენ სასლიდან არსენას მშობლები. მივარდნენ შეილს, ჰკითხეს მიზეზი. უფროსი მძაც გამოვიდა ოთახიდან. ნათელაც მივარდა საუვარელ არსენას. ზირველად არსენამ ვერაფერი სთქვა. პერე კი მოჰქევა, რაც ამ დილას ნახა და განიცადა ტყეში. ეველას ეწეინა ბაჭიას დაკარგვის ამბავი. თანაგრძნობა გამოუცხადეს არსენას. მოისურვეს ტყეში წასვლა და ადგილობრივად განხილვა მომხდარი უბედურებისა.

რა ნახეს უფროსებმა ფულურო, კარიდან გადმოგორებული ქვები და სისხლის ნიშნები ბაჭიას ბუნდელზე, წამსვე დაასკვნეს, რომ უთუოდ ძელა ან ტურა იქნებოდა ასეთი სა-

ქმის ჩამდენი... არსენას მამა ის მოსაზრებაც მოიყვანა, რომ თუ ტუქს კარგად დაივლიდნენ, ნახავდნენ კვალს და... გამოა-
რკვევდნენ საბოლოოდ ბაჭიას ბედსაც!.. ასეთ ლაპარაკში რომ
იუვნენ უფროსები, ამ დროს მათგან ცოტა განზე მდგარმა
ნათელამ უცებ დაიკილა.

— შეხედეთ... დედა!.. დედა... აი, წითელი ბანტი აგდია აკერ!!...

არსენა ზირველი მივარდა ნათელას ნახევნებ ადგილას.
დანარჩენებიც მივიდნენ. სამინელი სურათი ნახეს:—იქ, სადაც
ბანტი ეგდო, სისხლით იყო მიწა მოსვრილი და ზედ საწ-
ვალ ბაჭიასაგან დარჩენილი ძვლები, თავის ნაწილი და ფე-
ხები ევარა. იქვე ტუქვის ნაგლეჯები ეუინა.

—რა უქნია იმ წუეულსა იმას!!—იუვირა ამის დანახვაზე
არსენას მამამ. დედას კი ცრემლიც წამოუვიდა. გულშემო-
რავმა სურათმა ეველას დასწუვიტა გული. ეველასე უფრო
შეწუხდა, რასაკვირველია, არსენა. კონება—დაკარგული, დაბ-
ნეული იდგა იგი და სმას არ იღებდა. ვერ გამოერკვია ბავშვს,
თუ შესაძლებელი იყო მართლა მომსდარიყო ის, რასაც თვა-
ლით ხედავდა.. როგორ დაეჯერებინა, რომ მის მეგობარ
ცოცხალ ბაჭიასაგან ამ ქვეუნად ასლა მხოლოდ ის იყო
დარჩენილი, რაც სისხლში ამოსვრილი ევარა მის წინ...

(დას. სრული ბეწება)





სამი გამოცდა

(უნგრული ზღაპარი).



I

უო და არა იუო რა, იუო ერთი ცოლ-ქმარი. ჰეაჟდათ სამი ვაჟი. ვაჟები რომ წამოიზარდნენ, მამამ უთხრა შვილებს:

— ახლა კი დროა, შვილებო, წასვიდეთ ვისაც საითკენ მიგიწევთ გული და ბედი ეძიოთო!..

შვილები რომ მოემზადნენ წასასვლელად, მივიდნენ დედასთან გამოსათხოვებლად. დედამ აკოცა საშთავეს და მისცა თვითუფს მთელ-მთელი ჰური. ჰურები ერთნაირი იუო სამივე მშისა, მაგრამ უმცროსი მშის ჰური ცოტათი დიდი იუო დანარჩენებისაზე. უფროსმა მშებმა მიზეზად გაიხადეს ეს და გულში ჩაიდეს ჯავრის ამოურა უმცროს მშაზე, რომელსაც სასვლად მარკო ერქვა და ისეთი წუნარი და კეთილი იუო, რომ თავის დღეში არავისთვის ცუდს არ ინდომებდა და შესახედავთაც ნამდვილ ბატონიშვილს ჰგავდა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მშები მივიდნენ ერთ დიდ ხესთან და გაჩერდნენ, რომ მოისვენონ და ჰური წამონ. მარკო ძლიერ დაღლილი იუო, ამიტომ, დადგნენ თუ არა, მიწვა იქვე ხის ძირას და მალე დაეძინა. მშებმა სთქვეს:



— ჩვენს ჰურს ხელს ნუ ვახლეობთ, მარკოს ამოვაცალებს აბგიდან და ის ვჭამოთ. როცა გაიღვიძებს, დეე იტიროსო.

როგორც სთქვენს ძმებმა, ისე მოიქცენ: ამოაცალებს მარკოს ჰური აბგიდან და შეჭამეს, ნამცეციც კი აღარ დაუგდეს. მარკომ რო გამოიღვიძა, მოინდომა ჰურის ჭამა და მისწვდა თავის აბგას, რომ ჰური ამოიღოს, მაგრამ ჰური შიგ აღარ დაუხვდა. მარკომ ეჭვინანად შესედა ძმებს, ნახა რომ იცინიან, არც კი რცხვენიათ. მისვდა, რომ ჰური ამათ ამოაცალებს და შეჭამეს. სმა არ გასცა, ადგა და გზას გაუდგა ძმებთან ერთად. ასე რომ იმ დღეს და მეორე დღესაც ერთი ღუემაც არ ჩასულა მარკოს ჰირში. მეორე დღეს, საღამოს, მარკომ ვეღარ გაუძლო შიმშილს და სთხოვა ძმებს—ჰური მაჭამეთო; მაგრამ ძმებმა არ აჭამეს—ჩვენ თვითონაც ცოტა გვაქვსო...

მივიდნენ ტყესთან. ძმებმა უთხრეს მარკოს:

— წადი ტყეში, სილს რასმე იშოვი იქა და შიმშილი მოიკალიო!..

მარკომ დაუჯერა ძმებს და შევიდა ტყეში; მაგრამ მალე დაღამდა, გზა დაკარგა და როცა სულ დაბნელდა, სადღაც სრამში გადიხეს. მარკო რომ აღარ დაბრუნდა, ძმები ადგნენ და წავიდნენ. დარჩა მარკო მარტოკა ღვთის ანაბრობაზე, და რადგანაც ძალიან ბნელოდა და თითონაც ძალზე იყო დაბეჭილი, მეტადრე თვალები ჭქონდა ძალიან დაშავებული და ვერაფერს ხედავდა, მიწვა იქვე კლდის ძირას და დაიძინა...

II

გათენდა. მარკო წამოჯდა, აქეთ-იქით მიიხედა და დაინახა, რომ იქვე ასლო ჰატარა ნაკადული მოჩუხჩუხებს. მივიდა როგორც იყო იმ ნაკადულთან და დაიწყო ჰირის ბანა. ხედავს, დგას დიდი მუხა, ზედ ორი ევაგი ზის და რაღაცას



ლანძრავობენ. მარცო სმენად იქცა და რასაც ის უვავები ღმრთის
პარაკობდნენ, ეველაფერი გაიგო.

— ძმაო,—ეუბნებოდა ერთი ევაგი მეორეს:—ძიამბე, რა
ნახე შესანიშნავი ამ ტეში?

— ბევრი რამ ვნახე, რომელ ერთზე გიამბო!—უპასუხა
მეორემ.

— რაც უფრო გასაკვირველი იქნება, იმაზე ძიამბე. წუ-
ხანდელს აქეთ როგორღაც ვერა ვარ გუნებაზე!..

— კარგი, გიამბობ, არ გაწუხებინებ... აგერ იმ გორის
ძირში რომ ტბა არის, შესანიშნავი მკურნავი ეოფილა მისი
წელი: როგორც უნდა დამავდე, გაიბანები თუ არა, მაშინ-
ვე მორჩები!..

— კარგი რამ ეოფილა! კიდე რა ნახე?

— აგერ, სედავ წულის ჰირად მოწითალო ბალახი რომ
იჩნება, თვალი რომ გტკიოდეს და ვერასფერვლად სედავდე, საკ-
მალა იმის ნაძით მოიბანო თვალები და მაშინვე მორჩები:
არწივის თვალების გამჭრიახობა და შორსმხედველობა მო-
გეცემა!..

— ეგეც კარგი ეოფილა! კიდე რა ნახე?

— რა ვნახე და იმ ტბის ჰირად იწოდება რამდენიმე ბუ-
ჩქი, მოეკითალო ხილ-მოსხმული. საკმალა ერთი ხილი
შეჭამო, რომ შიმშილი მოიკლა და თან ისეთი ღონიერი გახ-
და, როგორც დევი!..

— რა კარგია!.. წავიდეთ ჩვენც!.. ძალიან მშაია!..

ევაგები გაფრინდნენ.

გაიგო რა ესენი, მარცო მივიდა წითელ ბალახთან, მოი-
ბანა თვალები იმის ნაძითა და მართლაც ისე მოუჩნა იმ და-
შეს დამავებული თვალები, რომ თითქოს თავის დღეში არა
სტკიებია. გაემართა ახლა ტბისაკენ და რა მივიდა

ტბასთან, გაიხადა ტანისამოსი და იბანავა. მორჩა სრულიად, ისე გაუქრა ტევილები, თითქოს თავის ღლეში არ გადმოვარდნილიყოს კლდიდან. მოძებნა ახლა ბუჩქები მოვეითალო სილითა, მოწვევითა ერთი და შეჭამა; გაძღა და დვეის ღონე იგრძნო. მოწვევითა კიდევ რამდენიმე და ჯიბეში შეინახა. გაავსო ახლა საგზაო ჭურჭელი იმ მკურნავი ტბის წყალითა და გაუდგა გზას.

III

შესვდა მკელი. საწყალს სადღაც ფეხი მოეტეხნა და ადამიანი რო დაინახა, ისე შეჭლმუვლა, თითქოს შევლასა და შებრალებას სთხოვსო. მარკოს შეებრაღა მკელი და უთხრა:

— ნუ სწუსარ, ახლავ მოგარჩენო!

მივიდა მკელთან, დახსნა ფეხის გადატეხილ ადგილას იმ ტბის წყალი და მკელი მაშინვე განიკურნა.

— მადლობელი ვარ, კეთილო უმაწვილო, მორჩენისათვის. ვეცდები მეც სიკეთე გადაგიხადო როდისმეო!—უთხრა მკელმა და წავიდა.

მარკომ განაცრძო გზა. შესვდა მოხსული მინდორი და შიგ ერთი თაგვი, რომელიც მოხვნის დროს გუთნის ღირღიტას დაეშავებინა და პლიესდა მოძრაობდა.

— საწყალი!—სთქვა შებრალებით მარკომ, აიევანა თაგვი ხელში, მიუბღერსა და მოასწა ტანზე იმ ტბის წყალი. თაგვი შეისვე განიკურნა და უთხრა:

— მადლობელი ვარ, კეთილო უმაწვილო. ვეცდები მეც სიკეთე გადაგიხადო როდისმეო!..

მარკომ კვლავ განაცრძო გზა. სედავს—ფუტკარს ფრთა დაჭმავებია და ველარ მიფრინავს. მარკომ ამასაც მოასწა ტბის წყალი. ფუტკარი მაშინვე განიკურნა, და სანამ გაფრინდებოდა, უთხრა მარკოს:

— მაღლობელი ვარ, კეთილი უმაწვილო, მორჩენისათვის. გეცდები შეც სიკეთე გადაგიხადო როდისმეო!...

სულ ასე შეულოდა მარკო გზა-და-გზა ეველასა, ვისაც კი ნახავდა დაშავებულს, და ერთხელაც არ მოუთხოვია ჯილდო არავისაგან. მოვიდა ბოლოს ერთი შეფის სატასტო ქალაქში და ჰირდანირ სასახლისაკენ გასწია. შევიდა ეზოში თუ არა, სედავს, რომ მისი ძმები იქ არიან. გულკეთილად მიესალმა და მოიკითხა. ძმებმა კი ერთმანერთს წაჰსჩურჩულეს:

— ეგ ჩვენ ძველარი გვეკონა, და თურმე კი ისევ ცოცხალი უოფილა! თუ ეგეც აქ დარჩება, ხეირი არ დაგვეურებაო!..

მარკო წავიდა შეფისთან. შეფეს დიდად მოეწონა ჯანით და ღონით სავსე ახალგაზდა და უბრძანა:

— ხვალ მოდი და კეთილს გაიგებო!...

მაგრამ ზოშორდა მარკო შეფეს თუ არა, ძმები დაუუოვნებლივ გამოცხადენ შეფესა და მოასვენეს:

— უფროსილდი, მეფე, მაგ ჭაბუკსა. ჩვენ კარგად ვიცნობთ მაგასა: ეგ გრძნეულია და არც საკეთილოდ იქნება აქ მოსულიო!..

IV

მეორე დღეს მარკო თამაშად წარუდგა შეფეს.

— აი რა გითხრა, ჩემო საუჯარელო, — უთხრა მეფემ მარკოს: — კეთილს დაგზირდი მართალია და შევასრულე კიდევ დანაბირს; მაგრამ გავიგე, რომ შენ მოსწონებული გრძნეული ხარ და ამიტომ მინდა ჯერ სამ რამეში გამოცადო: თუ გამარჯვებული გამოხვალ სამივედენ, ხომ დიდ ჯილდოს მიიღებ ჩემგან. თუ არა და ბნელი ხარო იქნება შენი საუკუნო სამეოფელიო!..

მიუბრუნდა მეფე მარკოს უფროსს ძმას და უთხრა:

— ჰსთქვი, რა გამოცდა დაუნიშნოთ ჰირველად?!

— ისეთი სასახლე აგიშენოს, მეფე, რომ ბევრად სჯობდეს შენს ამ სასახლესაო! — უთხრა ძმად.

მეფეს მოეწონა რჩევა და უთხრა მარკოს:

— ეს ჰირველი გამოცდაა. წაღი და სვალე მეუღლე საქმესა!..

მარკო დაძმარებული შევიდა სამეფო ბაღში და მწარედ იტირა, რადგანაც არ იცოდა, რით და როგორ შეესრულებინა მეფის ასეთი ბრძანება. უეცრად უურთან რედაცამ დაუბნულია. მოიხედა და სვდავს სწორედ იმ ფუტკარს, რომელიც მან ამას წინად განკურნა.

— რად სტირი, მეგობარო? — ჰკითხა მარკოს ფუტკარმა.

— როგორ არ ვიტირო?! საბრძანები მაქვს მეფისაგან ამ სასახლეზე უკეთესი სასახლის აშენება სვალე, და მე კი არ ვიცი როგორ ავაშენო!..

თუ მარტო ეგ არის, ნუ სტირი! სვალე შხად იქნება!.. — სთქვა ეს თუ არა, ფუტკარი სასწრაფოდ გაფრინდა.

მეორე დღეს, დილით, მარკო ადრინადა მივიდა ბაღში და დაუწყო ლოდინი ფუტკარსა; მაგრამ ფუტკარი არსად იყო. დადგა შუა დღე. ფუტკარი კიდევ არსად არის. მზე ჩასვლასე მიაგა. მარკომ იმედი გადიწევიტა ფუტკარის მოსვლასე, მაგრამ მაინც ელოდებოდა. ბოლოს მოფრინდა ფუტკარი და უთხრა მარკოს:

— სასახლე შხად არის! წადი, მოიყვანე მეფე აგერ იმ კორაზე და აჩვენე...

განარებული მარკო ეახლა მეფეს და მოახსენა, რომ სასახლე შხად არის და მობრძანდი — ნახეო.

მეფე დაუფიქრებელივ გაეძარბა გორისკენ თავისი ამალით და ჰირდაჰირ გაკვირვებული დარჩა სასახავით. თურმე ნუ იტ-

ვეით, იმ ფუტკარს დაეძახნა მთელი სამეფოს ფუტკრებისათვის და ეს საკვირველი სასახლე სულ იშვიათი ევაგილებით აეშენებინათ. სასურავი მთლად წითელი, თეთრი და ჟვითელი ვარდებით გაეკეთებინათ; ფანჯრები—თეთრი, სოსანი და ჟვითელი ზამბახებით; კედლები—ნარგისებით; იატაკი—იებით; კარები—ლილიფარით. სკამები, მაგიდები, საფარსები და ტახტებიც აგრეთვე სულ სხვა-და-სხვა იშვიათი ევაგილებით მოერთოთ და გაეკეთებინათ დიდის ოსტატობით.

—წუნი არაფერს დაეძება. გამოცდამ მშვენივრად ჩაიარა!—სთქვა მსიარულად მეფემ. მაგრამ საჭიროა უფრო მწველი გამოცდა დაუნიშნოთ, რომ ვერა და ვერ შეასრულოს მაგანაო!..

—უბრძანე შენი სასახლის მინდორზე დაბჯროვოს მთელი შენი სამეფოს სორბალი,—ურჩია ისევ მარკოს უფროსმა მამამ მეფესა...

—ასე იუოს!—ბრძანა მეფემ.

II

გავიდა მარკო სამეფო ბაღში და მორთო კვლავ ტირილი. არ იცოდა რით და როგორ შეესრულებინა მეფის ასეთი ბრძანება. ამ დროს უეცრად მარკოს რაღაცამ გაურბინა ფეხთან. ეს ის თაგვი იყო, რომელიც მარკომ ამას წინად მოაჩინა.

—რა გატირებს, მეგობარო?—ჰკითხა თაგვმა მარკოს.

—როგორ არ ვიტყვი: ნაბრძანები მაქვს მთელი სამეფოს სორბლის ერთ ადგილას, აი ამ მინდორზე დაბჯროვება და მე კი არ შემიძლია შევასრულო ესაო!..

—თუ მარტო ეგ არის, ნუ სწუსარ: სვალე შესრულებული იქნება მეფის ბრძანება!..

თავი წავიდა. მარტო დამშვიდდა და ცრემლები მოიწმინდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თავი უთუოდ შეასრულებდა დანაპირსა. წამოწვა მარტო არსეინად ბაღასზე და დილაშდის აღარ გაუღვიძნია. მეორე დღეს, საღამოს, მოირბინა თავება და უთხრა მარკოს:

— მზად არის! მოახსენე მეფეს მობრძანდეს და ნახოს საკუთარს თვალით!..

თავს თურმე შეეცოცხლებინა მეფის ბრძანება სამეფოს ეველა თავებისათვის და მათაც დაუოცებელი მოეგროვა ბინათ მთელი სამეფოს სოფალი მეფის სასახლის მინდორზე.

მეფე საჩქაროდ გაემართა მინდორისკენ თავისი ამალით და რა ნახა სოფლის მთელი გროვები, დიდად გაჰყვირდა და დაიძახა:

— მეორე გამოცდაც წინებულად შეუსრულებია ჩვენ ასალ-გაზდა გრძნეულს! მაგრამ მაინც მენატრება მესამე იხეთი მნელი საქმე დაუწინოთ რომ, ვერას გზით ვერ შეასრულოს!..

— აბა თუ კაცია, სვალ საღამოდის თავი მოუყაროს ამ მინდორზე მთელი სამეფოს მკლებს!— წამოიძახა თავმოწონებით მარკოს იმავე მამამ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგიო!— დაიძახა მეფემ.— ასე იუოს!

გაიგონა ეს მეფის ქალმა, რომელსაც უკვე შეჰყვარებოდა უონადი მარკო, და შეესვენა მამას:

— ნუ, მამა-ჩემო, ნუ! ნუ იხამ მაგას: თითონ ეგ არ შეჰამონ მკლებმა...

მამას სიცილდაც არ ეყო ქალის ასეთი წინადგომობა, და რადგანაც ქალი მაინც თავისას არ იშლიდა და მამას არ

ეშვებოდა, ნუ იზამ მაგასაო, უბრძანა კარის კაცებს:—სვალ
საღამომდის ქალი კოშკში დაამწეუდითო...

ქალი დაამწეუდის.

VI

მეორე დღეს, საღამოს, მარკო გავიდა ტუის ჰირად, დაჯდა
იქ ერთი სის პირას და გაისვენა ტუის წყალით მორჩენილი
მკელი. მოვიდა მკელი და უთხრა:

— საღამო მშვიდობისა, მეგობარო! რა გინდა აქ ამ დროს?

— მეფემ მიბძანა თავი მოუეზრო აქ რაც მის სამეფოში
მკლებია, და მე კი არ შემიძლია შევასრულო ესაო...

— თუ მარტო ეგ არის, ნურაუფრისა გეძარდება: სვალევე
შეგისრულებ მაგ ბრძანებას!..

მკელი წავიდა. მართლაც, მეორე დღეს, საღამოს მკელმა
მოიბრძინა მარკოსთან და უთხრა:

— წადი მოახსენე მეფეს, რომ მისი ბრძანება შესრულე-
ბულია: გადმოდგეს სერსე და ნახოს მთელი თავისი სამე-
ფოს მკლები.

გასარებული მარკო ეახლა მეფეს და მოახსენა, რომ ევე-
ლაფერი მზად არის და მთელი სამეფოს მკლობა თავმოყ-
რილია სერის დაბლა მინდორზე.

მეფე დაუეოვნებელივ გამოვიდა სერსე თავისი ამალით, და
რა დანახა უთვალავი ება-დადებული მკლები, შეეშინდა და
სახქაროდ უთხრა მარკოს:

— ემარა, გარეკე, გარეკეო!

მეფეს ეგონა, რომ მკლები მართლა მარკომ მორეკა და
ამიტომ ეუბნებოდა,—ემარა, გარეკე, გარეკეო! ეგონა, როგორც
მოურეკია, ისე ადვილადვე გარეკავსო; მაგრამ ამაოდ: რამდენ-
ი არ უძახა მარკომ:—ემარა, წადით, საიდანაც მოსულხართო,—

მგლებმა არ გაუგონეს, ერთ წამში გააღმასებულები დაე-
რივნენ მეფესა, მის ამაღლასა და ძმებსა და ეგეგლანი უსუნთქ-
ლივ გადასწასლეს... დაღონდა და დადარდინდა დიდად მარკო
მეფისა და ძმების დაღუპვასე, მაგრამ ბოლოს ამით ინუგე-
შა თავი:

— თავიანთივე ბრალია: რად მიბრძანეს მგლების მოკუ-
ნაო?!

შვეიდა მარკო სასახლესში და დაუყოვნებლივ გამოაშვე-
ბინა მეფის ქალი კოშკიდან.

მოგროვდა ხალხი და დაიწვეს ევირილი:

— გაუმარჯოს მარკოს! გაუმარჯოს ასალ მეფეს! მარკო
უნდა იუოს ჩვენი მეფეო: ჩვეს სსება არავენ გვინდაო!

მოიტანეს შეჭმული მეფის ოქროს გვირგვინი და დაადგეს
მარკოს თავზე...

დაიწერა მარკომ ჯვარი მეფის ქალზე და ცხოვრობდა
მრავალ წელს ბედნიერად...

ივანე რისტომაშვილი.





ლოკოკინა და ცხრაფეხა



რთმა ამერიკელმა ბავშვმა გახსნა ზღვის ლოკოკინა და გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ მის საფარ ქვეშ, ლოკოკინას ლორწოიან სხეულის გარდა, კიდევ რაღაც ზაწია ცხოველი იყო მოძუვადებული. ბავშმა მამას მიმართა და იმან აუხსნა ეგვლაფერი.

— ეს ლოკოკინა ზღვის ფსკერზე ცხოვრობს, — უთხრა მამამ. — ზოგი მისი ჩვეულება ჩვენსას წაგავს. მაგალითად ჩვენ, როცა გარედ მზიანი ნათელი დღეა, კარებსა და ფანჯრებს ვადებთ: გვინდა ოთახში სუფთა ჰაერი დატრიალდეს, რომ სული მოვიოქვათ. ზღვის ლოკოკინაც ადებს ხანდისხან თავის კარებს და უშვებს თავის ოთახში ზღვის გრილ და სუფთა წყალს. ამდროს ლოკოკინას ფართოდ გაღებულ კარებთან გაჩნდება სოღმე დიდი, დამძეული თევზი; ზირ-დაღებული მოეჩქარება ის ლოკოკინას ჩასაელაზავად. თევზი ჰხედავს ლოკოკინას, უკანასკნელს კი თევზის დანახვა არ შეუძლია: ლოკოკინა ვერაფერს ვერ ჰხედავს. ამიტომ მტერს ძალიან ადვილად შეუძლია ჩაიგდოს ხელში ეს საწყაღი არსება.

ლოკოკინას სიბნელოვეს ცხოვრობს მეორე ზატარა ზღვის მკვიდრი, ცხრაფეხა. ცხრაფეხას თვალები აქვს და შეუძლია დაინახოს მშვიერი თევზი, რომელიც მასაც ემტყვრება, ჩასაუ-

ლაზავედ სდევს. ცხრაფეხას ფეხები აქვს: შეუძლია თავს უშვე-
ლოს. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ თევზი უფრო სწრაფად
სცურავს და ცხრაფეხას ადვილად დაწვევა. ასლა იფიქრე—რა
ხერხი მოიგონა ჰატარა ცხრაფეხამ მტრისაგან თავის დასა-
ღწევად. იგი განკებ დასახლდა ლოკოკინას ახლოს და ხში-
რად ესტუმრება სოლმე ოთახში. ერთმანეთის დასახმარებლად
მათ შორის მეგობრული კავშირია გაბმული. როცა ლოკო-
კინა თავის კარებს აღებს, ცხრაფეხა იქვე განსდება სოლმე
და თვალებს იქით-აქეთ აცეცებს, რომ მათი საერთო დამშეუ-
ლი მტერი—დიდი თევზი—შორიდან დაინახოს. შეამჩნევს თუ
არა, რომ მტერი იმათ უახლოვდება, ცხრაფეხა შედის ლო-
კოკინას ოთახში და სხეულს თავის მახინძელს, რომელიც
იმ წამსვე მაგრად ჭხურავს თავის კარებს.

ამგვარად მაგარ ციხეში მომწვედუელი ცხრაფეხა და ლო-
კოკინა გადურჩებიან სოლმე იმათ საერთო უწყალო მტერს.

ილია ნაკაშიძე.



მე-11 №-ში მოთავსებულ რეგუსის აღსნა:

ილია ჭავჭავაძე.



6/116

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დისურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“—№

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვევულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.** იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.** გაგზავნით **3 მან.** 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.** გაგზავნით **3 50 კაპ.** მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით **3 მან.** 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

გსთხოვთ ხელის მოწერალებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყუბინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадул“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კეცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთაგრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზიშვილთან უპრავეში. **ოზურგეთში** ტ. ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ქანო პატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვაჩაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯაფარიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გამელაურთან. **ხონში**—მ. ი. კავკანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ყვრილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.